სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2015 წლის
20 აპრილის N 61/01-01 ბრძანების
დანართი N1

# ქართველოლოგიის დარგში იაკობ გოგებაშვილის სახელობის სამეცნიერო პრემიის მინიჭების წესი

## მუხლი 1. წესის მიზანი

ქართველოლოგიის დარგში იაკობ გოგებაშვილის სახელობის სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ტექსტში შემდგომ - ,,უნივერსიტეტი“) სამეცნიერო პრემიის მინიჭების წესის (ტექსტში შემდგომ - ,,წესი“) მიერ დაწესებული სამეცნიერო პრემიის მიზანს წარმოადგენს ქართველოლოგიური სამეცნიერო დარგების (ქართული ენა, საქართველოს ისტორია და წყაროთმცოდნეობა, ქართულ სიძველეთა კვლევა და არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, ქართული ლიტერატურათმცოდნეობა, საქართველოს ეთნოგრაფია და ფოლკლორი, ქართული ქრისტიანული კულტურის ისტორია და მსოფლმხედველობის საფუძვლები, ქართველოლოგიური ბაზების ტექნოლოგიური უზრუნველყოფა, ქართული პედაგოგიური აზროვნება) შემდგომი განვითარების ხელშეწყობა.

## მუხლი 2. ქართველოლოგიის დარგში იაკობ გოგებაშვილის სახელობის სამეცნიერო პრემია და მისი მინიჭების პროცედურა

1. ქართველოლოგიის დარგში იაკობ გოგებაშვილის სახელობის სამეცნიერო პრემიის (ტექსტში შემდგომ - ,,პრემია“) მინიჭება ხდება უნივერსიტეტის მიერ 2 წელიწადში ერთხელ, საპრემიო წლის 27 ოქტომბერს (იაკობ გოგებაშვილის დაბადების დღეს).
2. პრემია შეიძლება მიენიჭოს საქართველოს მოქალაქეს ქართველოლოგიურ სამეცნიერო დარგში შესრულებული ნაშრომისათვის. პრემიის მისანიჭებლად წარსადგენი ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ძირითად პრინციპებს - იგი უნდა წარმოადგენდეს მნიშვნელოვან ნაშრომს ქართველოლოგიის დარგში (მონოგრაფია, წიგნი ან ნაშრომთა ციკლი) და გამოცემული უნდა იყოს პრემირებამდე ბოლო 5 წლის განმავლობაში.
3. პირველი პრემია გაიცემა 2015 წელს. განცხადება პრემიის მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ ქვეყნდება უნივერსიტეტის მიერ არაუგვიანეს საპრემიო წლის 1 ივნისისა.
4. გარდა სხვა აუცილებელი ინფორმაციისა, განცხადება პრემიის მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ უნდა შეიცავდეს მოთხოვნას კონკურსში მონაწილეობისათვის საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის, ავტობიოგრაფიის, პრემიაზე წარსადგენი ნაშრომის 3 ეგზემპლარის (დედანი ან სანდო წესით დადასტურებული ასლი) და წინამდებარე წესით განსაზღვრული წარდგინების შემოტანის აუცილებლობის შესახებ.

5. ქართველოლოგიურ სამეცნიერო დარგში შესრულებული ნაშრომისათვის პრემიის მისაღებად აუცილებელია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური საბჭოს, ან მისი დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო საბჭოს, ან სამეცნიერო-კვლევით დაწესებულების სამეცნიერო საბჭოს წარდგინება.
6. პრემიის მიღების მიზნით დოკუმენტაციის უნივერსიტეტში წარმოდგენა ხდება უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტში, უნივერსიტეტის კანცელარიაში მათი რეგისტრაციის გზით, საპრემიო წლის პირველ ივლისამდე. აღნიშნული ვადის გასვლის შემდგომ დოკუმენტაცია (ნაშრომი) განსახილველად აღარ მიიღება.
7. პრემიის მინიჭებაზე გადაწყვეტილებას იღებს ჟიური. ჟიურის შემადგენლობაში წევრთა შეყვანის მიზნით არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი ან/და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი საპრემიო წლის არაუგვიანეს 10 ივლისამდე წარადგენენ შესაბამისი კომპეტენტური პირების კანდიდატურებს.
8. ჟიურის შემადგენლობა მტკიცდება რექტორის ბრძანებით არაუგვიანეს საპრემიო წლის 15 ივლისისა, მისი შემადგენლობა უნდა იყოს კენტი და იგი შესაძლებელია შედგებოდეს არანაკლებ 7 და არაუმეტეს 11 წევრისგან.
9. ჟიური განსაზღვრავს თავისი მუშაობის წესს, პირველ სხდომაზე ირჩევს თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილესა და მდივანს. ჟიური უფლებამოსილია, თუ მის სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი, იგი გადაწყვეტილებებს იღებს სხდომაზე, ღია კენჭისყრით, დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით. განცხადება კონკურსის გამოცხადების შესახებ (სადაც მიეთითება პროცედურების კონკრეტული თარიღები), პრემიაზე წარდგენილი ნაშრომების შემფასებელი ჟიურის შემადგენლობა, ასევე მუშაობის წესი, ასევე ჟიურის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ქვეყნდება საჯაროდ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
10. გადაწყვეტილება პრემიის მინიჭებაზე ჟიურის მიერ მიიღება არაუგვიანეს საპრემიო წლის 1 ოქტომბრისა და ეგზავნება უნივერსიტეტის რექტორს. ჟიურის უფლება არ აქვს პრემია მიანიჭოს ერთზე მეტ ნაშრომს.
11. ჟიურის შემადგენლობაში არ შეიძლება შეყვანილ იქნენ პირები, რომელთა ნაშრომები წარდგენილია პრემიის მიღების მიზნით, ასევე პრემიაზე წარდგენილი ნაშრომის რედაქტორი/ რეცენზენტი.

მუხლი 3. პრემიის მინიჭება და პრემირებული პირის დაჯილდოება
პრემია ჟიურის შეფასების საფუძველზე გადაეცემა გამარჯვებული ნაშრომის ავტორს (ავტორებს) საპრემიო წლის 27 ოქტომბერს - იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართველოლოგიური კონფერენციის გახსნის დღეს, პლენარულ სხდომაზე. ამავე სხდომაზე ხდება პრემირებული ნაშრომის შესახებ მოხსენების საჯარო მოსმენა და გამარჯვებულის (ნაშრომის ავტორის/ავტორების) საზეიმო დაჯილდოება - პრემიის (5 000 ლარის ოდენობით) გადაცემა.

2. პრემიის ლაურეატს/ლაურეატებს გადაეცემა სერტიფიკატი - ,,ქართველოლოგიის დარგში იაკობ გოგებაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო სამეცნიერო პრემია". სერტიფიკატის ფორმა მტკიცდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.
3. გამარჯვებული ნაშრომის ავტორის მოხსენება, შესაძლებელია, გამოქვეყნებულ იქნას სამეცნიერო კრებულში ,,ქართველოლოგიური ძიებანი". შესაბამისი გადაწყვეტილების არსებობისას, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს კრებულის გამოცემას მომდევნო საპრემიო წლის ოქტომბრამდე. გადაწყვეტილება კრებულის გამოქვეყნების შესახებ მიიღება უნივერსიტეტის საგამომცემლო საბჭოს მიერ, უნივერსიტეტის მოქმედ ბიუჯეტში არსებული ფინანსური რესურსების გათვალისწინებით.

მუხლი 4. წესში შესატანი ცვლილებები და დამატებები

წინამდებარე წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.